

„ოცნება“ აქციის მონაწილეებს **ჩინური** კამერებით აკონტროლებს

! უწყვეტი აქციების ფონზე, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქციის მონაწილეებზე კონტროლის მექანიზმებს აძლიერებს. ბოლო თვეებში პარლა-მენტის შენობასთან დამონტაჟებული კამერების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. პროტესტის მონაწილეთა იდენტიფიკაციისთვის „ქართული ოცნება“ ჩინურ ვიდეოსათვალთვალო კამერებს იყენებს.

მიმდინარე წლის 12 მარტს, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვითაც, სამართალდარღვევის საქმეებში, რომლებიც აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ არის დაწყებული, მტკიცებულებად სახის ამომცნობი კამერებით გადაღებული ფოტოები გამოიყენება. საია აქციის მონაწილეთა მიმართ მსგავსი მეთოდების გამოყენებას გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევად მიიჩნევს.

2025 წლის 18 თებერვალს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ინსპექტირების დაწყების შესახებ განაცხადა. კერძოდ, იგი შეისწავლის რამდენად კანონიერია რუსთაველის გამზირზე **„საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მიერ კამერების მეშვეობით ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავება“.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადებიდან ირკვევა, რომ პარლამენტის წინ დამონტაჟებული კამერები უშუალოდ 112-ის კონტროლს ექვემდებარება.

სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური ვებ-გვერდის მონაცემებით, 2025 წლის იანვარ-თებერვალში 112-მა ჯამში 485 877 ლარის ღირებულების ჩინური კამერა შეიძინა. კერძოდ,

- 2025 წლის 30 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ “112”-მა შპს “ჯი ეს სი”-სგან შეისყიდა 155 977 ლარის ღირებულების 35 კამერა, რომელიც წარმოებულია Zhejiang Dahua Vision Technology Co., Ltd-ს (იგივე Dahua) მიერ.

- 2025 წლის 28 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „112“-მა შპს „ჯი ეს სი“-სგან შეისყიდა 329 900 ლარის ღირებულების 100 მართვადი კამერა, რომელიც წარმოებულია ჩინური კომპანია Dahua-ს მიერ.

„სამოქალაქო იდეას“ წინა კვლევის მიხედვით, 2019-2024 წლებში სამინისტროებმა და მათმა ქვეუწყებებმა ჩინური კამერების შესყიდვებზე ჯამში 252 390 ლარი დახარჯეს. ამასთან, 112-ის მიერ, მხოლოდ 2025 წლის იანვარ-თებერვალში თითქმის ორმაგი ღირებულების კამერების შეძენა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ „ქართული ოცნება“ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კრიზისისს კომუნისტური ჩინეთისთვის დამახასიათებელი „პოლიციური სახელმწიფოს“ მეთოდებით „მართავს“.

როგორც ჩვენს წინა კვლევაში უკვე აღვნიშნეთ, ჩინური სათვალთვალო კამერები მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. კერძოდ,

◊ ჩინეთის ტექნოლოგიების მწარმოებელ მსხვილ კომპანიებს, მათ შორის Dahua-ს, მჭიდრო კავშირები აქვთ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან. მაგალითისათვის, მიუხედავად იმისა, რომ Dahua ოფიციალურად კერძო კომპანიას წარმოადგენს, მისი დამფუძნებლები და დირექტორები კომპარტიასთან აქტიურად თანამშრომლობენ. Dahua-ს ერთ-ერთმა მეწილემ, ფუ ლიქუანმა 2018 წელს ერთ-ერთ შეხვედრაზე ხაზი გაუსვა კომუნისტური პარტიის ლოზუნგის - „ყოველთვის მიჰყევი პარტიას“ („Always Follow The Party“) მნიშვნელობას.

◊ ჩინურ კომპანიებს, მათ შორის ტექნოლოგიურ კომპანიებს, ეროვნული დაზვერვის კანონის შესაბამისად, ევალებათ ჩინეთის უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობა. შესაბამისად, ჩინური კამერების მიერ შეგროვებული ინფორმაცია, შესაძლოა, ჩინეთის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდეს.

◊ ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების სისტემები შეიცავენ ისეთ მოწყვლად ელემენტებს, რომლებიც კიბერშეტევების განხორციელების შესაძლებლობას ქმნის.

◊ ჩინური სათვალთვალო კამერები ხშირად გამოიყენება ავტორიტარული სახელმწიფოების მიერ მოქალაქეებზე კონტროლისა და თვალთვალის მიზნებისთვის.

ამ გამოწვევების გამო, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების ნაწილმა კომპანია Dahua-ს მიერ წარმოებული კამერების გამოყენება აკრძალა. მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული კომპანიის ტექნოლოგიები რამდენჯერმე აიკრძალა.

◊ ამერიკის კომერციის დეპარტამენტმა, 2019 წელს, უიღურთა იძულებითი შრომის პრევენციის აქტის ფარგლებში, Dahua შავ სიაში შეიტანა.

◊ 2021 წელს, ამერიკის ფედერალური კომუნიკაციების კომისიამ Dahua ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის წარმომადგენელი ორგანიზაციების სიაში დაამატა.

◊ 2022 წელს, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტმა Dahua ჩინეთის „სამხედრო კომპანიად“ დაასახელა.

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ Dahua-ს პროდუქციის აკრძალვის ფონზე, „ქართული ოცნება“ სულ უფრო ინტენსიურად იყენებს ჩინურ სათვალთვალო კამერებს. საქართველოს მოქალაქეების თვალთვალისა და დაშინების მცდელობები სამეთვალყურეო ტექნოლოგიების მეშვეობით წარმოადგენს „ოცნების“ ავტორიტარიზმისკენ სვლის კიდევ ერთ გამოხატულებას.